

საბა

№02(206)
თებერვალი
2013

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

მოძღვროცველობა ბოდბეში



კულოცავთ!

უნმადესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის დაბადების 80 წლისა და პატრიარქის ტახტზე აღსაყდრების 35 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა საქართველოში. ჩამოვიდა მრავალი საპატიო სტუმარი და მაღალი სასულიერო პირი სხვადასხვა ქვეყნიდან.

რომის პაპმა ბენედიქტე XVI-მ ძმური სიყვარულით მოიკითხა და წერილით მიულოცა იუბილე მის უნმადესობას.



მის უნმადესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მთავარეპისკოპოსს მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტს ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია II

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსმთავრად თქვენი აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილე და თქვენი მოახლოებული

80 წლის იუბილე მაძლევს სასიამოვნო საშუალებას, დავარწმუნო თქვენი უნმადესობა ჩემს სულიერ სიახლოვეში და მადლობა შევნიშნო ღმერთს თქვენი ხალხისადმი მრავალწლიანი მსახურებისათვის. ტოტალიტარული რეჟიმის რთული წლების შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია თქვენი სულიერი და პასტორალური წინამძღოლობით, კვლავ განაგრძობს ზრდას. დღეს ქრისტეს მიმდევარნი დგანან ახალი გამოწვევების წინაშე, როგორცაა სეკულარიზაციის ზრდა და დაშორება ქრისტიანული ღირებულებებისაგან, რომელზეც არის აღმოცენებული ჩვენი კულტურა, და სწორედ ეს გვიბიძგებს, ძმურ სოლიდარობაში ერთად მუშაობითა და თანამშრომლობით, დავუპირისპირდეთ ამ გამოწვევებს. ვიმედოვნებ, რომ საქართველოში კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების მეგობრობა და ურთიერთგაგება კვლავ განაგრძობს ზრდას, ისე რომ მსოფლიომ გაიგოს ქრისტეს ერთგულ მოწაფეთა სახარებისეული მაცოცხლებელი მესიჯის ერთიანი ხმით დამონშება.

ამ დღეებში, როდესაც ჩვენ ვზე-



იმობთ ჩვენი მაცხოვრის შობას, ვლოცულობ, რომ ბეთლემის ანგელოზის მიერ გაცხადებულმა მშვიდობამ და სიხარულმა აღავსოს თქვენი და თქვენი ხალხის გული.

კიდევ ერთხელ, ჩემი გულწრფელი მილოცვითა და საუკეთესო სურვილებით, მიიღეთ ჩემი ძმური თანაზიარება ჩვენს უფალ იესო ქრისტეში.
ვატიკანი, 25 დეკემბერი, 2012 წელი

2013 წლის 16 იანვარს, უნმადეს და უნეტარეს ილია მეორეს ესტუმრნენ საქართველოში რომის კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლები: ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო; წმიდა საყდრის დესპანი ამიერკავკასიაში, მთავარეპისკოპოსი მარკო სოლჩინსკი; დასავლეთ საქართველოში ეპისკოპოსის ვიკარი, მამა გაბრიელ ბრეგანტინი; კამილიელთა პოლიკლინიკის – „კაცთა მაცხოვარი“ – დირექტორი, მამა პავლე დილი; სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, მამა პიერ დიუმულენი და მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მოძღვარი, მამა ანდრეი გრაჩევი, და იუბილე მიულოცეს მას.

კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლებმა პატრიარქს საჩუქრად გადასცეს კათოლიკური ეკლესიის კონდაკი და რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ის ცხოვრების ამსახველი წიგნი. მამა

პიერმა მის უნმადესობას უსახსოვრა საკუთარი წიგნები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ენაზეა გამოცემული, მათ შორის, ქართულად.

პატრიარქმა სტუმრებს შობა-ახალი წელი მიულოცა და მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და საჩუქრებისათვის. მისმა უნმადესობამ გაიხსენა საქართველოში ვიზიტის დროს წმიდა მამის იოანე პავლე მეორის მიერ წარმოთქმული სიტყვა: „ეს მინა დასაწყისიდან იყო განათლებული სახარების შუქით, რომელიც ტრადიციის მიხედვით, წმიდა ანდრეას, პეტრეს ძმის... მიერ იქნა შემოტანილი“. პატრიარქმა აღნიშნა, რომ საჭიროა ამ ორ ეკლესიას შორის დამყარდეს უფრო მჭიდრო ურთიერთობები.

დასასრულს, უნმადესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოში კათოლიკე ეკლესიას წმიდა ნინოს ჯვარი უსახსოვრა (იხ. ყდაზე).

მოამზადა ციცილო ხითარიშვილმა

სნეულთა XXI მსოფლიო დღე

წმიდა მამის, ბენედიქტე XVI-ის ეპისტოლა ავადმყოფთა XXI მსოფლიო დღისათვის

2013 წლის 11 თებერვალი

„წადი და შენც ასევე მოიქეცი“ (ლკ 10,37)



საყვარელო დანო და ძმანო!

1. 2013 წლის 11 თებერვალს, ლურდის ნეტარი ქალწული მარიამის ლიტურგიული მოხსენიების დღეს ალტონინგის სანკტუარიუმში საზეიმო ფორმით აღინიშნება ავადმყოფთა XXI მსოფლიო დღე. ეს დღე არის ავადმყოფთათვის, მედიცინის მუშაკთათვის, ქრისტიან მორწმუნეთათვის და ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის „განსაკუთრებულად მეტყველი მომენტი ღოვვის, ურთიერთგაზიარების, საკუთარი ტანჯვის ეკლესიის სასიკეთოდ შეწირვისათვის. ეს დღე შეხსენება ყველასათვის, რათა სნეული ძმის სახეში ამოიგნონ ქრისტეს წმიდა სახე, ქრისტესი, რომელმაც ტანჯვით, სიკვდილითა და აღდგომით დაიხსნა კაცობრიობა“ (იოანე პავლე II, ავადმყოფთა მსოფლიო დღის დაწესების წერილი, 1992 წლის 13 მაისი, 3). ამ გარემოებაში განსაკუთრებულად ახლოს ვარ თითოეულ თქვენგანთან, საყვარელო სნეულნი, რომლებიც სამკურნალო დაწესებულებებში თუ საკუთარ სახლში განიცდიან რთული განსაცდელის ჟამს ავად ყოფნისა და ტანჯვის გამო. დაე, ყველას მისწვდეს ვატიკანის II მსოფლიო საეკლესიო კრების მამათა სიტყვები: „არც მიტოვებულნი ხართ და არც უსარგებლონი; ქრისტესაგან ხართ ხმობილნი, თქვენა ხართ მისი ნამდვილი ხატი“ (უბოვართა, სნეულთა და ტანჯულთა მიმართ ეპისტოლე).

2. იმისათვის რომ ერთად განვვლოთ, როგორც პილიგრიმებმა, ის სულიერი გზა, რომელიც იმედისა და მადლის სიმბოლოდ და ადგილად ქვეყნულ ლურდიდან მიგვიყვანს ალტონინგის სალოცავთან, მსურს შემოგთავაზოთ, დაუკვირდეთ კეთილი სამარიელის ემბლემურ ფიგურას (შდრ. ლკ 10,25-37). წმიდა ლუკას მიერ მოთხრობილი სახარებისეული იგავი მოთავსებულია ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული სურათებისა და მონათხრობების წყებაში, რომლითაც იესოს სურს გაგვაგებინოს ღმერთის უღრმესი სიყვარული ყოველი ადამიანისადმი, გან-




უსახსრო. ეს ასეა არამხოლოდ სულთამწყემსთა ან ჯანდაცვის მუშაკთათვის, არამედ ყველასათვის, თავად ავადმყოფთათვისაც კი, რომელთაც შეუძლიათ რწმენის თვალთახედვით განვლონ საკუთარი მდგომარეობა: „ადამიანს ტანჯვისათვის თავის არიდება და ტკივილისგან გაქცევა კი არ კურნავს, არამედ ტანჯვის მიღებისა და მასში ზრდის უნარი, აზრის პოვნა ქრისტესთან კავშირის მეშვეობით, ქრისტესთან, ვინც უსასრულო სიყვარულით იტანჯა“ (ენგ. Spe salvi, 37).


3. ეკლესიის მრავალი მამა ხედავდა კეთილი სამარიელის ფიგურაში თავად იესოს, ხოლო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილ კაცში კი ადამს, გზაბნეულ და საკუთარი ცოდვის გამო მოწყვლულ კაცობრიობას (შდრ. ორიგენესი, ჰომილია ლუკას სახარებაზე XXXIV,1-9; ამბროსი, ლუკას სახარების თარგმანება, 71-84; ავეუსტინე, სიტყვა 171). იესო ღმერთის ძეა, მასშია მამის სიყვარული ხელშეხახები, ერთგული, მარადიული, უსაზღვრო სიყვარული, რომელსაც ვერაფერი აბრკოლებს. მაგრამ იესო აგრეთვე ის, ვინც „განძარცვა“ თავისი „ღვთიური სამო-

სი“, რომელიც დამდაბლდა თავისი ღვთიური „მდგომარეობიდან“, რათა ადამიანის სახე მიეღო (ფლპ. 2,6-8) და მიახლოებოდა ადამიანის ტანჯვას, თვით ქვესკნელში ჩასვლამდე, როგორც ვამბობთ მრწამსში, რათა იმედი და ნათელი მიეტანა. იგი არ მიიჩნევს ღმერთთან თავის თანასწორობას, თავის ღვთაებრიობას (შდრ. ფლპ. 2,6) თავის მოსაფრთხილებელ განძად, არამედ იხრება, გულმოწყალებით აღსავსე, ადამიანის ტანჯვის უფსკრულზე, რათა ნუგეშისცემის ზეთი და იმედის ღვინო სცხოს მას.

4. რწმენის წელიწადი, რომელიც გვიდგას, ხელსაყრელი გარემოებაა იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ქმედითი სიყვარულის მსახურება ჩვენს ეკლესიურ საკრებულოებში, რათა თითოეული ვიქცეთ კეთილ სამარიელებად სხვების მიმართ, მათ მიმართ, ვინ გვერდში გვიდგას. ამასთან დაკავშირებით მსურს გავიხსენო რამოდენიმე ფიგურა, ურიცხვთა შორის ეკლესიის ისტორიიდან, რომლებიც ეხმარებოდნენ ავადმყოფებს, აღმოეჩინათ ტანჯვის ღირსება ადამიანურ და სულიერ დონეზე, რათა ისინი იქნენ მაგალითად და სტიმულად. ყრმა იესოს და წმიდა სახის წმიდა ტერეზამ (Santa Teresa del Bambino Gesù e del Volto Santo), „scientia amoiris – სიყვარულის მეცნიერების დიდოსტატმა“ (იოანე პავლე II, სამოც. ეპ., Nova Millennio ineunte, 42), „იესოს ვნებასთან ღრმა კავშირში“ მიიღო ის სნეულება, რომელმაც „ძმიოდ ტანჯვათა გზით მიიყვანა იგი სიკვდილთან“ (საყოველთაო



ლურდის ღვთისმშობელი



წმ. ტერეზა ყრმა იესოსი ლინსი მ. ლუიჯი ნოვარეზე რაულ ფოლრო ნ. დედა ტერეზა კალკუტელი წმ. ანა შეფერი

აუდიენცია, 2011 წლის 6 აპრილი). ღირსმა მამამ ლუიჯი ნოვარეზემ (Venerabile Luigi Novarese), რომლის სხონაც ჯერაც ცოცხლად შემორჩენია მრავალთა მესხიერებას, თავისი მსახურების აღსრულებისას განსაკუთრებული ძალით შეგირძნო ავადმყოფთა და ტანჯულთათვის და მათთან ერთად ლოცვის აუცილებლობა, რომელთაც ხშირად ახლდა თან მირიამისადმი მიძღვნილი სალოცავების მოსალოცად, განსაკუთრებით ლურდის მღვიმესთან. მოყვასისადმი ღვთიური სიყვარულით აღძრულმა რაულ ფოლრომ (Raoul Follereau) საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნა ჰანსენის სენით შეპყრობილთა მოვლას დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი, სხვათა შორის, კეთრის წინააღმდეგ მსოფლიო დღისათვის ბრძოლითაც. ნეტარი დედა ტერეზა კალკუტელი (beata Teresa di Calcutta) თავის ყოველ დღეს იწყებდა ევქარისტიაში იესოსთან შეხვედრით, რის შემდეგაც კრიალოსნით ხელში გადიოდა ქუჩაში, რათა აქ შეხვედროდა უფალს და ემსახურა მისთვის ტანჯულებში, განსაკუთრებით კი მათში, „ვინც არავის უნდოდა, ვინც არავის უყვარდა, ვისაც არავინ უვლიდა“. წმიდა ანა შეფერმა მინდელსტეტენიდან (Sant'Anna Schäffer di Mindelstetten), მანაც

სანიმუშოდ შეუერთა თავისი სატანჯველი ქრისტეს ვნებას: „სნეულების სარეცელი იქცა მისთვის სამონასტრო სენაკად, ხოლო ტანჯვა იყო მისი მისიონერული მსახურება... ყოველდღიური ზიარებით განმტკიცებული, იგი იქცა ლოცვით შუამდგომლობის მოუღლე იარაღად და ღმერთის სიყვარულის ანარეკლად მრავალი ადამიანისათვის, ვინც მასთან რჩევის სათხოვნელად მიდიოდა“ (კანონმდების კომისია, 2012 წლის 21 ოქტომბერი). სახარებაში ვხედავთ ნეტარი ქალწული მარიამის ფიგურას, რომელიც მისდევს თავის ტანჯულ შვილს გოლგოთის უმაღლეს მსხვერპლამდე. იგი არასოდეს კარგავს ბოროტებაზე, ტანჯვაზე და სიკვდილზე ღმერთის გამარჯვების იმედს, და ერთი და იმავე რწმენითა და სიყვარულით სავსე მკვლავებით იკრავს გულში ბეთლემის მღვიმეში დაბადებულსა და ჯვარზე მკვდარ ღმრთის ძეს. ღმრთის ძლიერებაში მყარი სასოება ნათლება ქრისტეს აღდგომით, სატანჯველში მყოფთ რომ ანიჭებს იმედს და ანახლებს უფლის სიხსლოვისა და ნუგეშის მტკიცე რწმენას.

5. და ბოლოს, მსურს დიდი მადლიერებისა და გამხნეების სიტყვა ვუთხრა ჯანდაცვის

კათოლიკურ დაწესებულებებს და თავად საზოგადოებას, ეპარქიებს, ქრისტიანულ საკრებულოებს, საბერძნობაზნო ოჯახებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ჯანდაცვაში, ჯანდაცვის მუშაკთა და მოხალისეთა ასოციაციებს. დაე, თითოეულში გაიზარდოს იმის შეგნება, რომ ყოველი სიცოცხლისათვის, განსაკუთრებით უძლური და სნეული სიცოცხლისათვის „სიყვარულითა და სულგრძელობით კარის გაღებით ეკლესია აღასრულებს საკუთარი მისიის ძირითად მომენტს“ (იოანე პავლე II, სამოც. ექსპ. *Christifideles laici*, 38). ავადმყოფთა ამ XXI მსოფლიო დღეს მივანდობ ალტორინგის მადლთა ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის მფარველობას, რათა მუდამ გვერდში ედგას ტანჯულ კაცობრიობას, შევასა და მტკიცე იმედს რომ ეძებს, შეეწიოს ყველა მათ, ვინც ჩართულია გულმოდგინების მოციქულობაში, რათა იქცნენ ისინი კეთილ სამარელებად სნეულებითა და ტანჯვით დაღდასმული ძმებისა და დებისათვის, და მთელი გულით ვუგზავნი მათ სამოციქულო დალოცვას.

ვატიკანიდან, 2013 წლის 2 იანვარი
Benedictus PP XVI



ალტორინგის სალოცავი, გერმანია



ალტორინგის ღვთისმშობელი

ლოცვა სნეულთა XXI მსოფლიო დღისათვის

ღმერთო ყოვლისამპყრობელო და მარადიულო, შენა ხარ ჩვენი საფუძველი და საყრდენი, იმედი, რომელიც არასოდეს გვეტოვებს, და სიყვარული, რომელიც გასცემ საკუთარ თავს იესოს ჯვარზე და მის მკვდრეთითაღდგომაში. შენი სახე გააბრწყინე ყოველ სნეულზე, ტანჯულზე და მომაკვდავზე, შენმიერი გულმოდგინება აღმოუჩინე მათ. კვლავაც მოავლინე კეთილი სამარეული რომლებიც გადაარჩინენ და უმკურნალებენ ავადმყოფებს, ტანჯულებსა და მომაკვდავთ, და უანგაროდ მოუვლიან ყველაზე უძლურთ.

წმიდაო მარიამ, დედაო ღმრთისაო, მოგმართავთ შენ დღეს და გვევდრებით: შენ უწყი დაუცველთა ტანჯვას, რომელთა სატანჯველის თავიდან აცილება შეუძლებელია. ჯვრის ქვეშ დგომითა და დედობრივი განცდით შენ იქეცი ჩვენთვის სნეულთა მხსნელად. დაე, შეგვეწვედეს ძალა და გამბედაობა ვუმზიროთ ჯვარცმულს, და მამაცურად ავიტანოთ ჩვენი ტანჯვები მისდამი მინდობით.

ღმერთო უსასრულო სახიერებავე, მამაო ჩვენო, მადლობას გწირავთ ესოდენ მრავალ სანიმუშო მოწმეთა გამო რომლებმაც განვლეს განსაცდელის გზა და რომლებიც მოგვმადლე შუამდგომლებად. მადლობას გწირავთ წმიდა ანა შეფერისათვის, რომელსაც ახალგაზრდობიდანვე ხვდა წილად მძიმე განსაცდელი და ლოგინად ჩავარდა უბედური შემთხვევის გამო. შენ მოგმართავთ, წმიდაო ანა შეფერი: ჯვარცმულ და აღმდგარ იესო ქრისტესთან შინაგანი მეგობრობისათვის გაწეული ძალისხმევით შენ არამხოლოდ შეძელი შენი ჭირ-ვარამის გადატანა არამედ, მასთან ერთად, საკუთარი თავი მიუძღვენი სხვა ტანჯულთათვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც იმედი ჰქონდა სრულებით გადაწურული. შენი შუამდგომლობით დაგვეხმარე ჩვენც მივილოთ ჩვენი სიცოცხლე მაშინაც კი, როდესაც ის ტკივილითაა დაღდასმული, სასოებით ვუმზიროთ ჯვარცმულ იესოს და განვლოთ ჩვენი გზა იმის მტკიცე რწმენით, რომ ქრისტეს სიყვარული ნებისმიერ ტკივილზე უფრო ძლიერია, ბოროტებასა და სიკვდილზეც კი უფრო ძლიერი.

მადლობას გწირავთ ნეტარი პაპის იოანე პავლე მეორისათვის. ის მუდამ იყო სნეულთა გვერდით, ადამიანის სიცოცხლის უდრევი მცველი. შენ მოგმართავთ, ნეტარო პაპო იოანე პავლე მეორე, დაე, ლოცვით მოვიპოვოთ ძალა რწმენისათვის

და სიმტკიცე იმისა, რომ არ დავიკარგებით, და, რომ მთელი ჩვენი ცხოვრებითა და ტანჯვა-ვაებით დახსნილნი ვართ ღმერთის ხელსა და მის გულში. სულთა ბრძოლის შენი ნიმუშით მოგვეცი გამბედაობა, ჩვენი ცხოვრების ბოლო წუთებშიც.

მადლობას გწირავთ ნეტარი დედა ტერეზა კალკუტელისათვის, გარიყულთა და მომაკვდავთა წყვდიად ღამეებში ნამდვილი ანგელოსისათვის. შენ მოგმართავთ, ნეტარო დედა ტერეზა: იესო ქრისტეს უკიდევანო სიყვარულსა და ჯვარზე სიკვდილში შეწირული მსხვერპლით დაიმედებული ყოველთვის აღწევდი იმას, რომ ამ მისი სიყვარულის ნათელს შეეღწია ტანჯვის წყვდიადში. გამოითხოვე ჩვენთვის იმის შეგნება, რომ შეგვიძლია თავად ვიქცეთ შუქად სხვა ტანჯულთათვის. დაე, შეგვეძლოს იმედის გამოსხივება, და, რომ თავად შევძლოთ ამოვიცნოთ ტანჯულ და სნეულ მოყვასში ჩვენი უფლის სახე და დაუყოვნებლივ გავუწოდოთ მას ჩვენი ხელი.

ღმერთო, ერთარსება სამებავე, საკუთარ თავს მოვანდობთ ახლა შენს გულზე და მამობრივ ხელეებს. ვესავთ შენს უსაზღვრო სიყვარულს და შენ გვიცავ და გვიფარავ ჩვენ ნათელ დღეებშიც და რთულ ღამეებშიც, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. დაე, ჩვენი ტანჯვის მიერ განგვიახლდეს ჩვენი რწმენა და ჩვენი იმედი რათა ღვთის მთელმა ერმა განიცადოს გამოსყიდვის მადლი. აწ და მარადის. ამენ.



ლურდის სალოცავი, საფრანგეთი

რუბრიკა მოამზადა მამა პაპი ჟელიკამ

დავოსი. რელიგიის როლი პოლიტიკაში და ეკონომიკაში



25 იანვარს დავოსში, საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გამართა რელიგიის როლის განხილვა თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. „თუკი გავითვალისწინებთ რელიგიის როლს პოლიტიკურ, ეკონომიკურ

და სოციალურ სფეროებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არა მგონია, თვალის დახუჭვა შევძლოთ ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე, რაოდენ უხერხულიც არ უნდა იყოს ეს თემა განსახილველად“, – განაცხადა განხილვის დანწყამდე გლობალური საბჭოს ანალიტიკოსმა ტიფანი მისრაიმ.

ალფრედ ჰიჩკოკის მოულოდნელი აღსასრული



მახსოვს, როგორ ვნახე ყმანვილობისას შავ-თეთრ ტელევიზორში „ალფრედ ჰიჩკოკი წარმოგიდგენთ“. თავიდანვე აღმაფრთოვანა მარტივმა, ცხრაშტრიხიანმა კარიკატურამ – ცნობილი კინორეჟისორის მომრგვალებულმა პროფილმა. მუსიკის თანხლებით, ჰიჩკოკის სილუეტი ეკრანის მარჯვენა ნაპირიდან ჩნდებოდა, ცენტრისკენ მიდიოდა და კარიკატურას ენაცვლებდა. „სალამო მშვიდობისა“. ამას მოსდევდა მისი სახალისო ინტროდუქცია, რომლის მსგავსი მანამდე არაფერი მომესმინა.

ბავშვობისდროინდელი ემოციები კვლავ დამიბრუნდა, როდესაც 1980 წლის დასაწყისში მის სახლში შევაბიჯე. მისალევი ოთახის კუთხეში, შავ პიჟამოში გამონყობილი, სავარძელში თვლემდა. იმჟამად უკვე იეზუიტი მღვდელი, ლოს-ანჟელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის ფილოსოფიის მაგისტრანტი ვიყავი. მეგობარმა მღვდელმა, ტომ სალივანმა, რომელიც ჰიჩკოკს იცნობდა, ერთ ხუთშაბათს მითხრა, რომ ჰიჩკოკის აღსარების მოსასმენად აპირებდა წასვლას. მკითხა, ხომ არ გავყვებოდი შაბათს ნაშუადღევს ჰიჩკოკის სახლში წირვის აღსავლენად.

გაოცებული ვიყავი, მაგრამ, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ჰოდა შაბათს, საკუთარ სასტუმრო ოთახში მძინარე ჰიჩკოკი აღმოვაჩინეთ. ტომი ფრთხილად შეეხო მხარზე. ჰიჩკოკმა გაიღვიძა, ტომს ახედა და ხელზე ემთხვია. ტომმა თქვა: „ჰიჩ, ეს მარკ ჰენინგერია, ახალგაზრდა მღვდელი კლივლენდიდან“.

„კლივლენდიო? – თქვა ჰიჩკოკმა, – სირცხვილი!“ ცოტა ვიბაასეთ და ჰიჩკოკის კაბინეტისკენ გავემარ-

თეთ, სადაც მის მეუღლესთან, ალმასთან ერთად ჩუმი წირვა აღვაკლინეთ. ჩემს პირდაპირ მისი ფილმების სცენარების დასტა იდო – „ჩიტები“, „ფსიქო“, „ჩრდილოეთისკენ ჩრდილო-აღმოსავლეთით“ და სხვები. რაღაც ხნის განმავლობაში ჰიჩკოკი ეკლესიას ჩამოშორდა და ძველი წესისამებრ, ლათინურად წარმოთქვამდა ლოცვებს. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი ის იყო, რომ ზიარების მიღების შემდეგ იგი ჩუმიად ატირდა და უზარმაზარ ლოცვებზე ცრემლები სდიოდა.

მე და ტომი კიდევ რამდენჯერმე ვიყავით მასთან, მეტწილად შაბათობით, შუადღისას, თითქმის ყოველთვის ერთად. მაგრამ მახსოვს, ერთხელ მარტო მივედი. გამოჩენილ ადამიანებთან ენა მებმის ხოლმე და თავს ცოტა უხერხულად ვგრძნობდი. თუმცაღა მაინც ვიბაასეთ გულიანად მის სასტუმრო ოთახში. მერე თქვა: „მოდით, წირვა აღვაკლინოთ“.

81 წლის იყო და მოძრაობა უჭირდა, ამიტომ ადგომაში მივეხმარე და კაბინეტისკენ გავემართეთ. ნელა მივიღოდი. სიჩუმე ვერ ავიტანე, რაღაც უნდა მეთქვა და ესლა მოვიფიქრე: „მისტერ ჰიჩკოკ, რამე კარგი ფილმი თუ ნახეთ ბოლო დროს?“ ცოტა ხანს ჩუმიად იყო, შემდეგ მტკიცედ თქვა: „არა, არ მინახავს. როდესაც მე ვიღებდი ფილმებს, ისინი ადამიანებზე იყო და არა რობოტებზე. რობოტები მოსაწყენები არიან. მოდით, წირვა აღვაკლინოთ“. ამ ვიზიტების შემდეგ, იგი მალევე გარდაიცვალა. ბევრლი-ჰილზის კეთილი მწყემსის კათოლიკური ტაძრიდან გაასვენეს.

ბოლო დროს რეჟისორის სახელი ხშირად ჩნდება ნიუსებში. ჰოლივუდის ახალი პროდუქცია ჰიჩკოკის არასახარბიელო პორტრეტს გვიხატავს. არც მისი ზოგიერთი ბიოგრაფი აკლებს ხელს. ნიუსებში რელიგიაც ბევრია, ისიც არასახარბიელო წრილში – ომი და ტერორიზმი რწმენის სახელით. ძალადობის გამო ადამიანები უარს ამბობენ რელიგიაზე. მათგან, ვინც რელიგიის შესახებ მხოლოდ მედია საშუალებებით, შორიდან იგებს, ამგვარი რეაქცია სრულიად გასაგებია.

მაგრამ მათ გამორჩა, რომ რელიგია ძალზე პირადული რამაა. წმიდა აგუსტინე წერდა: „Magnum misterium mihii“. ჩვენ არ ვიცით, რატომ სთხოვდა ჰიჩკოკი ტომ სალივანს მასთან მისვლას. შესაძლოა, ეს არც თავად ჰიჩკოკს ესმოდა. ეს მისი გულისწადილი იყო და ამ ვიზიტებით ჩვენ ვუპასუხეთ ადამიანის ღრმა სურვილს, მის მოთხოვნილებას. რომელ ჩვენგანს არ გასჩენია ამგვარი სურვილი და მოთხოვნილება?

ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ ხანდაზმულობის ყამს რელიგიისაკენ მიბრუნება სისუსტის ნიშანია. მაგრამ არაფერი იპყრობს გონებას ისე, როგორც სიკვდილზე ფიქრი. Memento mori – გახსოვდეს სიკვდილი! რატომ? ალბათ იმიტომ, რომ სიკვდილის პირისპირ ადამიანი ცხადად ხედავს იმ ჭეშმარიტებას, რომელიც წლების მანძილზე მისი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ჰიჩკოკის საოცარი რეაქცია ზიარების მიღებაზე იყო ჭეშმარიტი ადამიანურობისა და რელიგიურობის გამოხატულება, რომელიც ძალზე შორსაა ჰედლაინებისა და მისი ბიოგრაფების ნაწერებისგან.

მაქს ჰენინგერი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი
მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

ახალშენილი სინაგოგი



ეკლესია საქართველოში აშენებული პირველი ტაძარია. იმ დროს „იესოს მეფობა“ დავინყებულ იყო. სახელი „იესო – სამყაროს მხსნელი“ ხალხს შეახსენებდა უფლის არსებობას... როცა პილატეს წინაშე მდგომ იესოს ეკითხებოდა: შენ ხარ მეფე? – ნათლად ჩანს როგორც პილატეს, ამ ქვეყნის მეფის, ისე იესოს, იმ ქვეყნის, ზეციური სამეფოს მეუფის, მენტალიტეტი. სანამ პილატესავით ვიაზროვნებთ, ჩვენთვის გაუგებარი დარჩება იესო. მართალია, იესო არის ჯვარცმული, მაგრამ მისი ტახტი სწორედ ის ჯვარია, რომელზეც იტანჯა. – ამ სიტყვებით მეუფემ სახარების გულში ჩაახედა საკრებულო და აუნყა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო კომუნისტური რეჟიმის დასასრულს პირველი ტაძრის, ახალშენის ეკლესიის – „იესო – სამყაროს მხსნელი“ აღმართვა.

სოფელი სამზადისშია... ფერად-ფერად დროშებს კიდებენ სოფლის ცენტრში, მოსაწვევები დაარიგეს პატარებმა ოჯახებში და კიდევ ერთხელ ამცნეს ყველას ახალშენის დღესასწაულის მოახლოება. 25 ნოემბერი... დღე ერთობისა, მეგობრობისა, სიყვარულისა, წინსვლისა, უფალთან თანაზიარებისა, დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ გააბრწყინა ღვთის მადლით ახალშენელთა გულები. დღის 12 საათზე სოფლის ცენტრში სიყვარულითა და სიხარულით ეგებებოდნენ ერთმანეთს სოფლის მოსახლეობა და მობრძანებული სტუმრები: ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზურაბ ჯიბუხია, კუხის თემის გამგებელი ელგუჯა კაკაბაძე, მამუკა ტყაბლაძე და სხვები. დღესასწაულის მონაწილენი იყვნენ ახლად გახსნილი ბაღის პატარები, მათი მშობლები და ახალშენელთა ოჯახის სტუმრებიც. საზეიმო ცერემონია უფლის ტაძარში დაიწყო. მობრძანებულ სტუმრებს, სასულიერო პირებსა და სოფლის მოსახლეობას სიტყვით მიმართა სოფლის მკვიდრმა მაია ჯანელიძემ. მან გაიხსენა სოფლისა და ეკლესიის ისტორია და მადლიერება გამოხატა პირადად მეუფე ჯუ-

ზეპე პაზოტოსა და მამა გაბრიელე ბრატინისადმი ეკლესიის მშენებლობაში გაწეული ღვაწლისა და უანგარო მსახურებისათვის. ასევე მადლობა მოახსენა მამა კარლო დი სტეფანოს, მონაზონ ანა მარია კრიველარის და ზემის ყველა მონაწილეს, რომელთა გულები ღვთის მადლით ივსებოდა და საერთო მიზნით ხარობდა. მეუფე ჯუზეპე პაზოტომ თავის გამოსვლაში აღნიშნა: ეკლესია არის საკრებულოს სიმბოლო, მაშასადამე, ვლოცულობთ არა ეკლესიისთვის, არამედ საკრებულოსთვის; მათთვის, ვინც გარდაცვლილია, ვინც აქ არის... შემდეგ დაიწყო წმინდა წირვა, მიმართვა უფლისადმი, მასთან ზიარება. ორგანის საამო ჟღერადობა და გალობა ტაძარს განსაკუთრებულ ელფერს სძენდა. თითქოს თითოეული ადამიანი ტაძრის თითოეულ ქვაკუთხედს წარმოადგენდა და ასე ერთიანობით ქმნიდა წმინდა ეკლესიას და კამარაზე გამოსახულ წარწერას – „რაითა ყოველნი ერთ იყვნენ“- ასე ამართლებდა. წარსულის სიყვარულით იყო გამთბარი მეუფე ჯუზეპეს ქადაგება. მან გაიხსენა ახალშენელთა ოფლითა და გარჯით აშენებული ტაძრისთვის სახელის შერჩევისას გამართული მსჯელობა. გაიხსენა, რომ კომუნისტური რეჟიმის შემდეგ, ეს

წმიდა მამამ, ბენედიქტე XVI-მ დამდეგი წელი „რწმენის წელიწადად“ გამოაცხადა. იმისთვის, რომ მივიდეთ უფალთან, მნიშვნელოვანია უფრო მეტად გავაცნობიეროთ მასთან მიმავალი გზა. ეპისკოპოსმა ყველას რწმენაში გაძლიერება უსურვა, დალოცა და აკურთხა იქ მყოფნი. წირვის შემდგომ, საზეიმო ცერემონიამ ბაღის შენობაში გადაინაცვლა. ისმოდა ლამაზი სიტყვები, შეიმჩნეოდა სიხარულის ცრემლები, მადლიერებით სავსე მზერა. თითქოს სიცოცხლის აკვანი დაიარა ახალშენის ისტორიაში ახალი ბაგა-ბაღის გახსნით. დღესასწაულზე ლატარიაც გათამაშდა. იყო მხიარულება, იღბლიანობის განცდა. საზეიმო დღე რეზო მღებრიშვილის ოჯახში გაშლილი სუფრით დაგვირგვინდა. წარმოითქვა სადღეგრძელოები, იყო მადლიერების გამოხატვისა და გაზიარების მომენტები. ახალშენელთა სახელით, მადლობა ყველას, ვინც ჩვენთან ერთად ხარობდა ამ დღეს და არა მარტო ამ დღეს. მადლობა მამა კარლოსა და სუორა ანა მარიას, რომ გვეხმარებიან და ჩვენს გვერდით არიან საჭიროების ყამს. მათ ხომ სითბო, სიყვარული და იმედი შეაქვთ თითოეულ ოჯახში და უფლის მადლით გვაძლიერებენ.

მომლოცველობა ბოდბეში წმიდა ნინოს საფლავზე

მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს დღესასწაულს საქართველოს კათოლიკეები, მართლმადიდებლებთან ერთად, 27 იანვარს აღნიშნავენ. რწმენის წელიწადში „ნინობა“ განსხვავებულად იზიჟება კათოლიკურმა ეკლესიამ: 26 იანვარს მოეწყო მომლოცველობა ბოდბეში, წმიდანის საფლავზე. მომლოცველობაში სხვადასხვა საკრებულოები მონაწილეობდნენ, კერძოდ: თბილისის მარიაამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის მრევლი, წმ.პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მორწმუნეები, ქუთაისის საკრებულოს წევრები, მესხეთის რეგიონიდან სამი ავ-

ტობუსით ჩამოვიდნენ მომლოცველები და, რა თქმა უნდა, კახეთის საკრებულოებიდან შეკრებილი მრევლის წევრები.

ბოდბეში წმიდა ნინოს ეკლესიის მოლოცვის შემდეგ, უკლებლივ ყველა თბილისის საკათედრო ტაძარში აღვლენილ წმიდა წირვას დაესწრო.

ქვემოთ გთავაზობთ საქართველოში მოღვაწე „წმიდა ნინოს“ კონგრეგაციის მონაწილის მარი ნოქლიის მედიტაციას წმ. ნინოს შესახებ.

რედაქცია

„ამავე დროს, იბერთა ერმა, რომელიც ცხოვრობდა პონტოს მახლობლად, აღთქმა დადო ღმრთის სიტყვასთან და მომავალი სასუფეველის რწმენა მიიღო. ტყვე-ქალმა ეს გადასცა მათ, როგორც დიდი კურთხევა. იმყოფებოდა რა მათ შორის, ის ცხოვრობდა როგორც ღმრთისმოსავი, თავმდაბალი, უბინო პიროვნება, დღედაღამ ღმერთს მიმართავდა და განუწყვეტლივ ლოცულობდა. ცხოვრების ასეთი წესის სიახლე მიმზიდველი იყო და იწვევდა ადგილობრივ მოსახლეობაში აღტაცებასა და ცნობისმოყვარეობას, ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ და ეკითხებოდნენ, რათა გაეგოთ, რას ნიშნავდა ყოველივე ეს. ტყვე-ქალმა მარტივად აუხსნა, რომ ამგვარად ის ქრისტეს, ღმრთის ძეს ემსახურებოდა.“ ეს რუფინუსის სიტყვებია, ციტირებული მიხეილ თამარაშვილის მიერ, წიგნში „ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე“.

გავიხსენოთ იმ ახალგაზრდა ქალის, წმინდანის ისტორია, რომელიც მე-IV საუკუნეში ცხოვრობდა. მისი ცხოვრების გზა შეიძლება ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის შთაგონების წყაროდ იქცეს, განსაკუთრებით წელს, როდესაც ჩვენმა პაპმა, ბენედიქტე XVI-მ ეს წელი რწმენის წლად გამოაცხადა.

ნინო – მწირი, მომლოცველი...

რწმენას ნინო თავის ოჯახში ეზიარა და მიიღო, როგორც ღმრთისგან ბოძებული ძვირფასი ძღვენი. როგორც ამბობენ,



ცხოვრებით აღასრულოს ქრისტეს მცნება: „...ვისაც თქვენს შორის დიდობა სურს, თქვენი მსახური იყოს. ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, თქვენი მონა იყოს. ისევე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ ემსახუროს, არამედ იმისათვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად“ (მათ. 20, 26-28).

ჯვარი... რა გრძნობას იწვევს ეს სიტყვა ყოველი ჩვენგანის გულში? იტყვიან ხოლმე, უბედურება მოაქვსო, ეს რა ჯვარი ავიკიდო! ... გავიხსენოთ იესოს სიტყვები: „უნდა აიღოს თავისი ჯვარი“... დიახ, ყოველი ჩვენთაგანი ზიდავს ჯვარს ყოველდღიურ ცხოვრებაში: უბრალოდ, გემართებს გავყვეთ ქრისტეს და, ამავდროულად, არ უნდა უარყუოთ სიცოცხლე, მაგრამ უარი უნდა ვთქვათ ძალაუფლების განხორციელებაზე სხვის მიმართ, სხვას არ უნდა მოვახვიოთ საკუთარი ნება. ქრისტეს უნდა ვაპყვე, როგორც მონაფე, როგორც ნინო.

სხვას ემსახურო, როგორც ქრისტე, როგორც ნინო... უარი თქვა პირველობაზე... მოიქცე ისე, როგორც სახარება გვასწავლის: **„შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა“** (მათ. 6, 3)... გახსოვდეს ფსალმუნის სიტყვები: **„ჩვენ არა, უფალო, ჩვენ არა, არამედ შენს სახელს მიაგვ დიდება...“** (ფსალმ. 113, 9).

არის კი ჩემში ასეთივე რწმენა? ბოდბეს გზაზე დამდგარს, შემოძლია შევთხოვო ნინოს, მაზიაროს თავის რწმენას?

ნინო, მკურნალი და მახარებელი

ნინოს მიენიჭა მადლი და ძალა განკურნებისა და სწავლებისა, როგორც ამას თავად იესო აკეთებდა, ხოლო აღდგომის შემდეგ – მოციქულები. ეკლესიამ ნინოს „მოციქულთა სწორი“ უწოდა, რადგანაც იგი იესოს სახელით კურნავდა და ასწავლიდა. თქვენს წინაშე მისი სამოციქულო მსახურების რამდენიმე მაგალითია:

იმ დროს ავადმყოფი ბავშვი მეზობლებთან მიჰყავდათ, რადგანაც სწამდათ, რომ მოიძებნებოდა ვინმე, ვისაც განკურნება შეეძლო. ასეც მოხდა – ავადმყოფი ბავშვი მიიყვანეს ნინოსთან. წმიდანმა ბავშვი აიყვანა, თავის საწოლზე დააწვინა და ილოცა, ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და ბავშვი მყისვე განიკურნა. მისი ლოცვის შედეგად, მრავალი შვილი ეყოლა ბერს ანასტასიას და მის მეუღლეს, მასპინძელ მეზობელს. მათ ირწმუნეს ქრისტე და მისი მიმდევრები გახდნენ. მცხეთაში ნინო ხშირად სტუმრობდა ებრაელთა თემს. ამ თემის მღვდელმთავარი აბიათარი და ზოგიერთი ქალი ისმენდნენ ნინოს მიერ გადმოცემულ სახარების მოძღვრებას და ქრისტეს მიმდევრები გახდნენ.

ნინო ლოცულობდა, განკურნებულთა რიცხვი კი მატულობდა; ნინო ღიად საუბრობდა ქრისტეზე – შედეგად მოქცეულთა რიცხვი იზრდებოდა, მაგრამ თავად ისეთივე თავმდაბალი რჩებოდა და თავის შესახებ არაფერს ყვებოდა.

დღეღაღად ნანასა და მეფე მირიანის ქრისტიანობაზე მოქცევის ამბავი კი საქართველოში ყველასთვის ცნობილია, ამიტომ ამაზე ვრცლად აღარ ვისაუბრებთ.

რა თქმა უნდა, რწმენა – უპირველეს ყოვლისა, ღმრთის ძღვენია. მაგრამ ჩემი რწმენა უნდა იყოს „გადამდები“, როგორც იყო ნინოს რწმენა. ნინომ მოაქცია იბერიის ხალხი საკუთარი ცხოვრების მაგალითით, კურნებითა და სიტყვით. და ჩვენ? გავგაჩინა ჩვენ მადლი განკურნებისა და სწავლებისა? ფიზიკური განკურნება? რატომაც არა, თუკი ჩვენ ექიმები ან ექთნები ვართ. შესაძლოა, ჩვენ მონოდეულნი ვართ, რათა ადამიანებს შევუმსუბუქოთ შინაგანი სენი, გულისტკივილი – მოსმენით, გულისხმიერებით, ჩვენში დავანებული სიმშვიდით, სიბრძნით აღსავსე სიტყვით, რომელიც მღუმარე ლოცვაში იბადება.



და ჩვენ ყოველთვის მოხმობილნი ვართ, „ანგარიში ჩავაბართო“ ჩვენივე რწმენით, სხვა შემთხვევაში ქრისტეს მონაფეები თავს როგორ ვუწოდოთ?

მხოლოდ ცოცხალი რწმენის მაგალითი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ გარემოებებში ბადებს ნდობას ღმრთის უდიდესი მადლის და სიკეთის მიმართ, რომელსაც ის უბოძებს ყოველ ადამიანს მისი აღმსარებლობის, კანის ფერისა თუ პოლიტიკურ შეხედულებათა განურჩევლად.

ნინო, საქართველოს განმანათლებელი

მას იბერიის ხალხისთვის რწმენის სინათლე მოაქვს: რწმენაში ცხოვრების მონაწილეთა, განუწყვეტელი ლოცვით, სხვათა მსახურებით, კურნებით, სწავლებითა და ბოლოს – ცხოვრების სინამდის.

რა გავაკეთე მე ჩემი ნათლობით? ჩვენ ვართ მამის საყვარელი შვილები, მონოდეულნი, ვიყოთ მისი ძისი მსგავსნი. ჩვენ გაერთიანებულნი ვართ ერთ სხეულად და მივეკუთვნებით ერთ ხალხს. ჯვრის ნიშანი, ჯვარცმული და მარად ცოცხალი ქრისტეს ნიშანი – ეს აღსრულდა ჩვენთვის: აღიარების ნიშანი, ნიშანი იმისა, რომ ჩვენ ქრისტიანთა საზოგადოებას ვეკუთვნით. როგორია ჩემი მონაწილეობა ოჯახში, სამსახურში, თუ სამეზობლოში? როგორ ვასრულებ ჩემს ნათლობით დაკისრებულ ვალდებულებებს?

ნინოს სიყვარული? ო, რაოდენ დიდია!


სახარება მოგვითხრობს უდიდესი „შეყვარებულის“, მარიამ მაგდალელის შესახებ. ეს ქალი, რომელიც რამდენიმე სხვა პირთან ერთად, გალილიდან მოყოლებული, ქრისტეს მოჰყვებოდა, ჯვართან იესოს დედის გვერდზე დგას. „უფალი ვიხილე!“ – ატყობინებს მარიამი მონაფეებს, – „აი, რა მითხრა!“

იგი ყველა მოვლენის მონაწილეა: იესოს სიკვდილი, ჯვრიდან გარდამოსხნა, საფლავად დადება. „შვიდეულის პირველ დღეს“ საფლავთან მიდის, ერთგულებისა და სიყვარულის საპასუხოდ, უფალი ეცხადება მას. მარიამ მაგდალელის შემდეგ, რამდენმა ქალმა მიატოვა ყველაფერი, რათა ქრისტეს გაჰყოლოდა, მხოლოდ მას... ნინოს და მრავალ მონოდეულთ „უღირთ“, თავიანთი სიცოცხლე სამარადისოდ დაუკავშირონ იმას, ვინც დღესაც, როგორც გუშინ, „ყოველდღე ჩვენთან არს უამთა აღსასრულამდე“... განა ღმრთის სიყვარულით აღვსილი მათი ცხოვრება არ არის აღდგომის ნიშანი?

ფრანგულიდან თარგმნეს ალექსანდრა მარბჰვილაშვილმა და მანანა სულაქიძე

ქველმოქმედება სიყვარულის სახელით

ქველმოქმედება ის საქმეა, რომელიც სხვა ადამიანს უხალი-სებს ცხოვრებას და ხვალინდელი დღის იმედს უსახავს. მოგეხსენებათ, რომ ეკლესია უკვე მოციქულების დროიდან ეწეოდა ქველმოქმედებას სხვადასხვა სახით და დღემდე აგრძელებს ამ საქმიანობას კერძო პირებისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით. მრავალი წლის წინ, საქართველოში გამოჩნდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „კარიტასი“. ეს ორგანიზაცია მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი ქველმოქმედებითა და ხალხზე ზრუნვით. მას ჩვენთან ეწოდება საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“. მისი დახმარებით განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი სამედიცინო, სოფლის მეურნეობის, ახალგაზრდებისა და ბავშვების ფორმაციის სფეროში, მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა რომ კათოლიკურია, ეხმარება ყველას, ქრისტიანსა თუ არაქრისტიანს, რათა ყველა ადამიანი თავი იგრძნოს ბედნიერად და სრულფასოვნად. სიტყვა „კარიტასი“-ი ხომ გულმონყალებას ნიშნავს. ორგანიზაცია „კარიტასმა“ დიდი როლი ითამაშა საქართველოში მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების დაახლოებაში. მოგეხსენებათ, რომ ამ ორ აღმსარებლობას შორის საქართველოში იყო და, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება დაძაბული დამოკიდებულება, არასასიამოვნო და რთული მომენტები; ხშირად გარკვეულ საკითხთა მოგვარება რთულდებოდა, განსაკუთრებით რეგიონებში, რასაც ხალხი კონფლიქტამდეც კი მიჰყავდა. მაგალითად, მესხეთში, სოფელ არალში, რომლის მოსახლეობაც ძირითადად კათოლიკეა, დიდი დაძაბულობა შეიქმნა კათოლიკეებსა და ახლად დასახლებულ მართლმადიდებელთა შორის, რამაც ძლიერ იმოქმედა ხალხის ცნობიერებაზე. მაშინ, როდესაც სოფელი ასეთ დიდ განსაცდელში იმყოფებოდა, „კარიტასის“ მხარდაჭერით, გაიხსნა საგანმანათლებლო ცენტრი, რომელ-



მაც დიდი როლი ითამაშა ბავშვებსა და უფროსებს შორის არსებული რელიგიური უთანხმოების მოგვარებაში. აქ ყველა ერთად სწავლობს და ბავშვების ცნობიერებაში ყალიბდება ერთობისა და სიყვარულის შეგნება. როგორც იტყოდა ნეტარი იოანე პავლე II, მთავარია, იყო ჭეშმარიტი კათოლიკე და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, სიყვარული არის ის საფუძველი, რომელიც ქმნის ერთ დიდ ეკლესიას. ზუსტად ეს არის დღეობი ამ ორგანიზაციისა – სიყვარული, ერთობა და ყოველი ადამიანის ბედნიერება.

დახმარება, ქველმოქმედება და სიკეთე უნდა გახდეს ყოველი ადამიანის ცხოვრების წესი. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ გვეძლევა საშუალება, გავაგრძელოთ „საქართველოს კარიტასის“ მიერ დაწყებული საქმე, რომელშიც მონაწილეობენ როგორც კათოლიკეები, ასევე მართლმადიდებლები. შევეცდებით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სიყვარულის ამ დიდ საქმეში. ვიმედოვნებთ, რომ ღმერთის განგებულებით ის კეთილი საქმე, რაც აქ კეთდება, ერთიანობისა და სიყვარულის მხრივ, თავის ნაყოფს გამოიღებს.

სოფელ არლის მცხოვრებნი

ეპისკოპოსი ახალციხის საკრებულოს მემკვიდრე

ახალციხის წმ. სავარდის სახელობის ეკლესიის მრევლისთვის წლებგანდელი შობის დღესასწაული მართლაც რომ განსაკუთრებული იყო, რადგანაც უფალმა მოგვანიჭა ბედნიერება, რათა ეს მნიშვნელოვანი დღესასწაული ახალ, ლამაზ და სასწაულთმოქმედ ტაძარში გვეზეიმა. ამ დღისათვის, წმიდა ნინოს კონგრეგაციის მონაზვნების დახმარებით, ადრეულად დაეიწყეთ მზადება: საზეიმოდ მოვრთეთ ნაძვის ხეები, ეკლესიის ტერიტორია, მოვამზადეთ საშობაო საგალობლები... მიუხედავად იმისა, რომ საშობაო წმიდა წირვა 24 საათზე იწყებოდა, მორწმუნეებმა ეკლესიაში ადრეულად დაიწყეს შეკრება. ისეთი უცხო სახეებიც ჩანდა, რომელთათვისაც ადრე არასოდეს მოგვიკრავს თვალი; თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თურმე რამდენი ვყოფილვართ, მაგრამ ცხვრის ფარასავით გაფანტულები და დაკარგულები. გამართლდა ჩვენი გულისტკივილი, რომელსაც ხშირად გამოვთქვამდით: „რადგანაც ტაძარი არ არის, მორწმუნეები თავს არიდებენ კერძო ბინაში ჩატარებულ წირვაზე დასწრებას-ო!“. ანალოგიური

მიზეზები შეიძლება სხვა საკრებულოებსაც (აქ ძირითადად ვგულისხმობთ ივლიტის, ქუთაისის, გორის, უდეს და სხვა წართმეულ ეკლესიებს) ჰქონდეთ, ამიტომ ღმერთს ვთხოვთ, მათაც ელირსოთ საკუთარი ეკლესია.



წმიდა წირვა დაიწყო იესოს შობის ცოცხალი სურათით, რომელიც ბავშვებმა წარმოადგინეს, ამის შემდეგ წმიდა ლიტურგიას მამა ზურაბ კაკაჩიშვილი წარუძღვა. პირველ რიგში, მან ყველას მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, მიულოცა შობის ბრწყინვალე დღესასწაული მრევლს და ყველა მორწმუნეს მოუწოდა, ხშირად მიიღონ მონაწილეობა წმიდა წირვებში და ჩაებან საეკლესიო ცხოვრებაში. ისიც მოახსენა, რომ რაბათში დამკვიდრებული ბენედიქტელი მონაზვნები ილოცებენ თითოეულისათვის და მათ თხოვნასა და სატკივარს გაიზიარებენ.

წმიდა წირვამ საზეიმო ვითარებაში ჩაიარა, მისი დასრულების შემდეგ კი ეკლესიის წინამძღვარი მამა ზურაბ კაკაჩიშვილი წირვის ყველა მონაწილეს გოზინაყითა და ბენედიქტელი მონაზვნების მიერ მომზადებული ნამცხვრებით გაუმასპინძლდა.

მაგრამ, პირველ იანვარს – ახალი წლის დილას, კიდევ ერთი ახალი სიურპრიზითა და სიხარულით დაგვაჯილდოვა ღმერთმა: ყველანი წირვისთვის ვემზადებოდით და ველოდებოდით ჩვენი წინამძღვრის, მამა ზურაბის გამობრძანებას, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო წარუძღვა წმ. წირვას. გვიხაროდა, რომ მეუფე იქნებოდა ახალციხის საკრებულოს მეკვლე.

ეპისკოპოსმა ყველას მოგვილოცა ახალი წელი და გვისურვა ღვთის მფარველობა, სიხარული, ჯანმრთელობა და სულის სიმხნევე.

წირვის დასრულების შემდეგ, ახალი წლის მეკვლესთან ერთად, სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ. ეს ფოტო ყოველთვის გაგვახსენებს, რომ ჩვენი მეკვლე თავად ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი იყო, ის ღირსეულ ადგილს დაიკავებს ჩვენი საყვარელი ფოტოების გვერდით, რადგან ეს დღე განსაკუთრებული იყო ჩვენი საკრებულოს ცხოვრებაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და, მთელი საკრებულოს სახელით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ეპისკოპოსს ასეთი დიდი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის, რასაც ყოველთვის იჩენს ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) საკრებულოს მიმართ. ასევე, მინდა მას მივულოცო ეპისკოპოსად კურთხევის 13 წლისთავი. ეპისკოპოსად კურთხევის წლისთავს ვულოცავთ წმიდა საყდრის დეკანოს, მთავარეპისკოპოს მარეკ სოლჩინსკის. ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ მათთვის. ასევე, საქართველოს კათოლიკეებს ვულოცავთ შობა-ახალ წელს, ვუსურვებთ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და რწმენის სიმტკიცეს. ვილოცოთ საქართველოში მშვიდობისათვის.

ელზა ზუგაშვილი

სიყვარულის ქუთხე

სიტყვით ვერ გადმოცემთ, რას ნიშნავდა ეს დღე (შობის დღესასწაული) იმ უნარშეზღუდული ბავშვებისათვის, რომლებიც აქ სწავლობენ.

ღამეები გვითენებია იმაზე ოცნებასა და ფიქრში, გვემუშავა იმ ადამიანებთან, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, იცხოვრონ ჩვეულებრივი ცხოვრებით...

„უნარშეზღუდული“, – ჩვენი აზრით, ეს სიტყვა ცუდად ყდერს; რატომ უნდა ვუნოდოთ ადამიანს უნარშეზღუდული? იმიტომ, რომ ის ჩვენზე რამით ნაკლებია? ცხოვრება მშვენიერია, ჩვენ შეგვიძლია მათგან რაიმე ვისწავლოთ, თუნდაც სულის სიძლიერე. ისინი ხომ სულით იმდენად ძლიერნი არიან, რომ შეზღუდული სამყაროს საზღვრების გადალახვის უდიდესი სურვილი აქვთ. რა მნიშვნელობა აქვს, როგორები არიან? ისინი ერთ-ერთი ჩვენგანნი არიან!

სულ რაღაც სამი თვეა, კამილიელთა ორდენის მხარდაჭერით, სოფელ არალში გაიხსნა უნარშეზღუდულთა სარეაბილიტაციო კაბინეტი, სადაც ხუთი ბავშვია (იმედია, გავიზრდებით, გავფართოვდებით და უფრო გავძლიერდებით). ჩვენ გადავწყვიტეთ, მოგვეწყო საშობაო ღონისძიება, რათა მათი ცხოვრება გაგვეხალისებინა. იესო ქრისტეს შობის დღეს მოვინვიეთ თოვლის ბაბუა, ზღაპრის გმირები, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ, ვთქვით ლექსები... გვესწრებოდნენ პატარა მსახიობების მშობლები; რომ გენახათ მათი თვალები, იქ, დიდ სევდასთან ერთად, ამოიკითხავდით უდიდეს სიამაყესა და ბედნიერებას. სტუმრად მოწვეული გვყავდა მამა პავლე, მამა ზიგმუნდი და მამა მიშა, რომლებსაც ბავშვებმა საკუთარი ხელით გაკეთებული საჩუქრები უსახსოვრეს მადლობის ნიშნად.

ამ ღონისძიების მომზადებაში ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას და ძალიან ვეძლავდით იმაზე, თუ როგორ ჩაივლიდა ეს



დღე. ბავშვების მზერაში საოცარი სითბო და სიხარული იგრძნობოდა, მათთვის ეს ზეიმი ღმერთის საჩუქარი იყო. როცა გამართულად, დახმარების გარეშე მოძრაობ, როცა სრულყოფილად საუბრობ, ლამაზ ფერებში ხედავ სამყაროს, შემდეგ გადახედავ მათ შეზღუდულ შესაძლებლობებს, დაინახავ, რომ ისინი ბევრ ჩვენგანზე უკეთესი ცხოვრებით ცხოვრობენ, წარმატებულნი და ცნობილნი არიან. მიუხედავად მათი მდგომარეობისა, უსაზღვროდ შეუძლიათ გასცენ სითბო და სიყვარული. ჩვენ ხომ მათი თვალთ არასოდეს შეგვიხედავს სამყაროსთვის.

ძვირფასებო! ჩვენ არასდროს დაგტოვებთ მარტო! ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს და ვიმედოვნებთ, რომ ეს წელი გასულ წელზე უკეთესი იქნება ყველასთვის.

სარეაბილიტაციო კაბინეტის კოლექტივი

„გათიშულუობის მიღმა არსებული მაღლი“

ყოველი წლის 2 თებერვალს კათოლიკე ეკლესია უფლისცად ნარდგენის დღესასწაულს – მირქმას მოიგონებს და ამავე დღეს აღნიშნავს ასევე ბერმონაზვნურ ცხოვრებას, განსაკუთრებით ლოცულობს მათთვის, ვინც ამ გზით სიცოცხლე შესწირა ღმერთს. ამ დღესთან დაკავშირებით, შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონარიდს იტალიურ ჟურნალში „Testimoni“ 20/2012 მოთავსებული ლორენცო პრეცის სტატიიდან: „გათიშულობის მიღმა არსებული მაღლი“.

ხუთსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ, ქრისტიანული ეკლესიები პირველად შეაჯერებენ თავიანთ აზრებს ბერმონაზვნური ცხოვრების შესახებ. ბერმონაზვნობა ხომ სასულიერო ცხოვრების უმთავრესი ფორმა გახლავთ. უჩვეულო თეზისი იკვეთება იმ მიმოხილვიდან, რაც დღეს ცხოვრების ამ ფორმებზე არსებობს, და მის შესახებ ეკლესიის პასუხისმგებელი პირების მსჯელობიდან. გულისტკივილი, რაც კათოლიკურ სამყაროში განჩნდა, ეხება ევროპაში სასულიერო და ბერმონაზვნური ცხოვრების გაუბრალოებას, მიუხედავად ევროპის საზღვრებს მიღმა მისი რადიკალური ფორმით გამოხატვისა და ახალი ინსტიტუციების აღმოცენებისა, ასევე ინფორმაციული უკმარისობისა. აქ საუბარია კავშირების სიძველესა და გაუმჯობესებაზე, რაც არსებობს კათოლიკე და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის, ხოლო რაც შეეხება პროტესტანტულ და ანგლიკანურ ეკლესიებს, აქ ცვლილება მნიშვნელოვანია.


პროტესტანტული ეკლესია: რეფორმატორმა მარტინ ლუთერმა თავისი აზრები მკაფიოდ გამოხატა პასკვილში „ბერმონაზვნური აღთქმების ლუთერისეული შეფასება“ (1521). სასულიერო აღთქმები ღვთის სიტყვას კი არ ეფუძნება, პირიქით, მისი საპირისპიროა, „რამეთუ აღთქმათა მხარდამჭერები, ერთი მხრივ, იმ ფაქტს იშველიებენ, რომ სახარება შედგება რჩევებისა და მცნებებისგან (მაშინ როცა ყველაფერი მცნებებზეა); მეორე მხრივ, ისინი განასხვავებენ ქრისტიანული ცხოვრების არასრულყოფილ სტატუსს (სხვები) და სრულყოფილ სტატუსს (თავად ისინი). ასე რომ, ბერები ნდობას უცხადებენ თავიანთ საქმეებს, ანუ იმ არჩევანს, რასაც ისინი სამ აღთქმაზე ამყარებენ. მათი მორჩილება და სილატაკე ძალზე განსხვავდება სახარებისეულისგან (ემორჩილებიან მხოლოდ ერთს და არა ყველას; ინახავენ თავისთვის – ან თავიანთი საჭიროებისთვის – მას, რასაც იღებენ) და, პირველ რიგში, მათი უბინობა, უკიდურესი ვნებებით გახრწნილი, სცილდება სახარებისეულ ვნებებს და, როგორც

ლუთერი ამბობს, თავად ქრისტესას. მაშ, რად არ უნდა შევჩერდეთ ნათლობაზე, რაშიც ხსნას ვესავთ, რასაც მხოლოდ ქრისტი აღასრულებს? აღთქმები სარწმუნოებას ენიანაღმდეგება, შეუძლებელია მათი ბოლომდე დაცვა. მხოლოდ რწმენას აქვს ის თვისება, რომ იყოს მუდმივი და აუცილებელი. მხოლოდ იგი იძლევა ცოდვათა შენდობას და გამართლებას. საქმე ამცირებს რწმენის ძალას და ჩარჩოში აქცევს მას. ის ენიანაღმდეგება სახარებისეულ თავისუფლებას, ვინაიდან ქრისტიანული შეგნება გამოიხატება არა მოქმედების, არამედ განსჯის ძალით და იგი განსხვავდება იმ საქმეებისგან, რასაც ხსნას და სიკეთეს მიაწერენ. ისინი ენიანაღმდეგებიან ღვთის მცნებებს და, განსაკუთრებით, პირველ სამ მცნებას: „რწმენას, პატივისცემას (ან ქრისტესადმი), და ჩვენში აღძრულ ღვთის საქმეებს (მაშინ, როცა აღთქმებით ხდება ქრისტეს უარყოფა, როგორც საქმეებით, ასევე სახელით)“. მაგრამ ლუთერი ნინაღმდეგი არ გახლდათ ბერმონაზვნობისა და სასულიერო ცხოვრების, როგორც ასეთის:

1. რეფორმის დასაწყისში რამდენიმე საკრებულომ საოცარი ნინაღმდეგობა გამოხატა. ერთ-ერთმა პირველმა რეფორმატორმა, მარტინ ბუცერმა (**Martin Bucero**) 1546 წელს დააფუძნა საერთო ცხოვრების საკრებულო. პიეტიზმი გახლდათ ბერმონაზვნური და სასულიერო ცხოვრების გამორჩეული ფორმა. იაკობ სპენერი (**Jacob Spener**), გოტფრიდ ზინზერდორფი (**Gottfried Zinzendorf**), ეერარ ტერსტიგენი (**Gerard Tersteegen**), ცინცერდორფის გრაფი ნიკოლაუს ლუდვიგი, – შვიდასიანი წლების პირველ დეკადაში, მთელ რიგ საკრებულოებს აფუძნებენ, რომლებიც ნელ-ნელა ვრცელდებიან და ვითარდებიან. საკრებულოთა დარსების ეს პირველი ტალღა იკვებებოდა მისტიკური სულიერებით და იმ ნინაპართა მოძღვრებით, რომლებიც იყვნენ იაკობ ბოჰმე (**Jakob Bohme**), იოან არნდტი (**Johann Arndt**), ქრისტიან ჰობურგი (**Christian Hoburg**) და ჯონ ვაიკლიფი (**John Wycliff**).

საკრებულოთა დაარსების მეორე ტალღა რვაასიანი წლებში წამოვიდა გაჭირვებულ ხალხთა დახმარების სურვილით, ქველმოქმედების მიზნით. როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საკრებულოები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული ფენის სამსახურში.

2007 წელს გერმანიაში პროტესტანტული ეკლესიების საბჭოს (**EKD**) პრეზიდენტი, ეპისკოპოსი ვოლფგანგ ჰუბერი წერდა: „რეფორმის შემდეგ, მონასტრებისა და იმდროინდელი ორდენების ლუთერისეული კრიტიკის ფონზე, რეფორმატორული ეკლესიები ეჭვით უყურებდნენ ამ არჩევანს. სამონასტრო ცხოვრება, საკრებულო



მარტინ ლუთერი იაკობ სპენერი იოჰან არდტი ვოლფგანგ ჰუბერი

ფორმით ცხოვრება, ცელიბატის არჩევანი არასახარებისეულად ითვლებოდა და პროტესტანტიზმს არ ეთანხმებოდა. ღვთის ნყალობით, იგი მთლიანად შეიცვალა“. მონასტრები და საკრებულოს ფორმით ცხოვრება „სახარებისეული ეკლესიის საგანძურია, რომელიც უნდა დავიცვათ და გავაღვივოთ“. ლუთერულ და გერმანულ რეფორმატორულ ეკლესიებში ამჟამად 234 საკრებულო და სასულიერო ცხოვრების საზოგადოებაა: 56 – ბერმონაზვნური აღთქმებით, 33 – სხვადასხვა ტიპის შერეული საძმოები, როგორც ქალების, ასევე მამაკაცების, 28 – ოჯახური ტიპის საკრებულო, 105 – საქველმოქმედო ტრადიციის და 12 – ეკუმენური.

ამ მოსაზრებამ ნელ-ნელა განიცადა ცვლილება, მანამდე კი მას წინ უძღოდა საკრებულოთა გასაოცარი პროდუქტიულობა და ბრძენკაცთა ღვაწლი. როგორც მაქს თურიანი (**Max Thurian**) აღნიშნავდა: „ლუთერისა და კალვინის რეფორმამ გააუქმა სამონასტრო საკრებულოები და ეს ჩვენთვის სერიოზული პრობლემა გახლდათ, რამეთუ საუბარი იყო მონოდების მორჩილებაზე და რეფორმატორულ ეკლესიაში საკრებულო ცხოვრების აღდგენაზე“. აღთქმებმა საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახდინა. მაგრამ მათი გაგება ზუსტად ხდებოდა ღვთის თავდაპირველ აქტთან კავშირში, რომელიც გვიხმობს თავისუფლებისკენ და არა მონობისკენ. ამგვარად, ეს მიანიშნებს არა ადამიანის ძიებაზე, მარტომ გაიკვალოს გზა ღვთისკენ, არამედ ღვთის მაღლისა და ერთგულების მიღების ნიშანზე. ეს ყველაფერი შორს დგას რწმენაში გამართლების მოძღვრების უარყოფისგან, ისინი უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ მის გასაოცარ გამოხატულებად“.

ფორმის მხრივ ცვლილება პროტესტანტულ ეკლესიებში 1979 წლიდან დაიწყო, როდესაც **EKD**-ს საბჭომ მიიღო დოკუმენტი სათაურით „**Spiritualita evangelica**“, რითაც მოხდა ტრადიციული სამონასტრო ცხოვრების უგულვებელყოფა. ჰანს დომბოისმა, ევანგელური კანონიკის უფლების ექსპერტმა თავის ნაშრომში „**Das Recht**

der Gnade“ („წყალობის უფლება“, 1974 წ) აღიარა, რომ ეკლესიის უმთავრესი სოციალური ასპექტები, – დადგენილი ჯერ კიდევ პირველი ოთხი საუკუნის მანძილზე, – არის: საყოველთაო ეკლესია, ადგილობრივი ეკლესია, სამრევლოები და ბერმონაზვნობა; და დაასკვნა: ამიტომაც ორდენები და მონასტრები ლეგიტიმური სოციალური ფორმებია თვით ევანგელურ ეკლესიაშიც“.

ოთხმოცდაათიანი წლებში საკრებულო ცხოვრების სამი ახალი ფორმა გავრცელდა. პირველი მოიაზრებოდა სამოსს სახით, ოლონდ საერთო ცხოვრების გარეშე, ისეთი, როგორც გახლდათ 1931 წელს დაარსებული ევანგელური საძმო. მეორე უპირატესობას აძლევდა საერთო ცხოვრების წესს და ნიმუშად თვლიდა ფინკენვალდის (**Finkenwalde**) ეკლესიის მწყემსთა ცხოვრებას, ეს იყო ე.წ. ბრუდერჰაუსი (**Bruderhaus**), ანუ „საძმო სახლი“, სადაც მოღვაწეობდა ცნობილი პიროვნება დიტრიხ ბონჰოფერი. ამავე წლებში დაარსდა როჯერ შუტცის საკრებულო ტეზეში (**Taize**). ასევე ფიქრობდა ცხოვრების ამ ტიპზე შვეიცარიაში მყოფი ძმა როჯერი; ეს იყო ძმების (**freres**) ძიება: დაბრუნებოდნენ ისინი თავიანთ თავდაპირველ ეკლესიებს.

საკრებულოთა დაარსების მესამე ტალღა წამოვიდა 900-იან წლებში და 60-იან წლებში დასრულდა. განახლებული საზოგადოების ფონზე, ოჯახური საკრებულოებიც გამოჩნდა. სიმბოლურია გნადენტალის იესოს საძმო (**Fraternita' di Gesu' di Gnadental**), სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბერები ცელებატის აღთქმით, დების საკრებულო და ახალგაზრდა და ყმანვილთა ოჯახის დიდი ჯგუფი, ერთად აყალიბებენ „ადგილობრივ ქრისტიანულ საკრებულოს“, „ყოველდღე ლოცულობენ ერთად, ზოგნი ერთად მუშაობენ და ერთად ზეიმობენ. ისინი მოდელად იყენებენ III საუკუნის ეგვიპტელი მოღვაწის, ბერმონაზვნობის მამის, პიკომიოს კოინონიას“.

(გაგრძელება იქნება)

კონფერენსია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

კათოლიკე ეკლესია საქართველოში, კონკრეტულად კი ამიერკავკასიის ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრატორის კურიასთან არსებული კულტურისა და ეკუმენიზმის კომისია (კომისიის თავმჯდომარე, დასავლეთ საქართველოში ეპისკოპოსის ვიკარიუსი მამა გაბრიელ ბრავანტინი), მუდმივად ზრუნავს, რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოღვაწე ქართველ და უცხოელ გამოჩენილ სასულიერო პირთა და საზოგადო მოღვაწეთა ისტორიული ღვაწლი არ იქნეს დავიწყებული და სათანადოდ მიეგოს პატივი. ამ ზრუნვის რეალური გამოხატულება გახლდათ 2011 წელს ფართო ეროვნული მასშტაბით აღნიშნული მამა მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავი. 2012 წელი, კულტურის კომისიის მონდომებითა და ძალისხმევით, „მესხეთის ილია ჭავჭავაძე“ შერაცხული საზოგადო მოღვაწის, მამა ივანე გვარამაძის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავს მიეძღვნა. ჟურნალი „საბა“ თავის წინა ნომერებში ფართოდ აშუქებდა ივ. გვარამაძისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ციკლს. ამ მრავალფეროვან საზეიმო ღონისძიებათა დასკვნის აკორდს წარმოადგენდა გასული წლის 28 ნოემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც თავისი მასშტაბის გამო ეროვნულ სამეცნიერო ფორუმად შეგვიძლია ვაღიაროთ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 2011 წელს ჩამოყალიბდა და მის ერთ-ერთ პირველ ფართომასშტაბიან ღონისძიებას მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია წარმოადგენდა. 2012 წელს კი ევროინტეგრაციული პროცესების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ივ. გვარამაძის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორადაც მოგვევლინა. არც არის გასაკვირი, რადგან სტუ-ის ევროინტეგრაციის ცენტრის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ცნობილი მეცნიერი და დიპლომატი პროფესორი ზურაბ გამეზარდაშვილია. გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოცემულ იქნა მის მიერ მოძიებული, ვატიკანის არქივებში დაცული, ქართული საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი წერილობითი წყაროები, რომლებშიც შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტები არის წარმოდგენილი.

როდესაც საქართველო-ევროპის ურთიერთობებს განვიხილავთ, ბუნებრივია, ამ ხანგრძლივ ისტორიულ-პოლიტიკურ პროცესში, გვერდს ვერ ავუვლით კათოლიკე ეკლესიასა და წმინდა საყდარს. XIV საუკუნიდან მოყოლებული, იტალიელი, ფრანგი მისიონერები და მოგზაურები უმდიდრეს და ყველაზე უტყუარ, შეუღამაზებელ ფაქტებს გვანდობენ საქართველოს სამეფო-სამთავროების შესახებ. რად ღირს თუნდაც კასტელის მიერ შექმნილი გრაფიკული ჩანახატები. რამდენი დააკლდებოდა კასტელის, ლამბერტის, შარდენის ნაშრომების გარეშე ჩვენს ისტორიასა და ეთნოლოგიას. ხოლო მიხეილ თამარაშვილი ის მკვლევარია, ვინც ევროპას XX საუკუნის გარეგანაშუაზე ხელახლა გააცნო საქართველო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ევროინტეგრაციის ცენტრის ინიციატივით, გადაწყდა, რომ ყოველწლიურად მოეწყოს სამეცნიერო ფორუმები, რომლებიც ევროპულ კვლევებს დაეთმობა, პირველი კონფერენცია კი დიდი მოღვაწის, ივ. გვარამაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

კონფერენციის გახსნის შემდეგ, პირველი მოხსენებები ივ. გვარამაძის მშობლიური მესხეთის წარმომადგენლებს დაეთმო. ახალციხის უნივერსიტეტის პროფესორებმა მერაბ ბერიძემ და ნატო ყრუაშვილმა დამსწრეთ ივანე გვარამაძის მოღვაწეობა გააცნეს.

დამსწრეთა დიდი ინტერესი დაიმსახურა თეოლოგიის დოქტორის, მამა გაბრიელ ბრავანტინის მოხსენებამ იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების წინაპირობის შესახებ.

ივ. გვარამაძის შთამომავალმა, თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორმა გიორგი მაისურაძემ თავის გამოკვლევაში XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ივანე გვარამაძის მონაწილეობის აქამდე უცნობი ფაქტები წარმოადგინა.

დასმული პრობლემის აქტუალობით, ნოვატორული გააზრებითა და ორიგინალური ხედვით, ქართულ-ევროპული კვლევებისათვის მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორის ნანა ხაზარაძის მოხსენება „ქართველობის აღმნიშვნელი ძველი ბერძნული ტერმინები“, სრული პროფესორის მურმან პაპაშვილის მოხსენება „ლუი XIV-ის – „მეფე მზის“ სიმბოლოს გააზრება ვახტანგ VI-ის დიპლომატიაში“, ასოცირებული პროფესორის ხათუნა ჩაფიჩაძის მოხსენება „სოლიდარობის ევროპული პარადიგმები“, პროფესორ ზურაბ კვეციანაძის მოხსენება „ევროპული იდეები ქართველი ერის იმანენტურ ისტორიაში“, და პროფესორ ნუგზარ ბარდაველიძის მოხსენება „მულტიკულტურულობა და ევროპული რეფორმაცია“.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სტუ-ის სტუდენტების მოხსენებები: სალომე გოგუშვილის – „თანამედროვე ევროპული კულტურა და დიპლომატია“, მარიამ მამულაშვილის – „ქართული კათოლიკური მონასტერი საფრანგეთში“, და ირაკლი ჯავახიშვილის – „კათოლიკური ეკლესია ევროპული ინტეგრაციის სოციო-პოლიტიკურ ასპექტებში“. მათთვის არავის შეუთავაზებია კვლევის ობიექტად საქართველოსა და კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობების ისტორია, მაგრამ მათმა დამოუკიდებელმა არჩევანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო-ევროპის ურთიერთობების შესწავლა წარმოუდგენელია ამ პროცესში რომის კათოლიკე ეკლესიის უმნიშვნელოვანესი როლის გვერდის ავლით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროპულ არჩევანში კათოლიკე ეკლესიის ისტორიული როლის აქცენტირება ნაკლებად ხდება, ახალგაზრდა მკვლევრები დამოუკიდებლად ხვდებიან და ირჩევენ თავიანთი შესწავლის თემად ქვეყნის ისტორიისა და პოლიტიკის პრიორიტეტულ ასპექტებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონულმა გაზეთმა, ივ. გვარამაძის საიუბილეო კონფერენციის მზადების პროცესშიც და სამეცნიერო ფორუმის დასრულების შემდეგაც, თავისი გვერდები დაუთმო ევროინტეგრაციის შემსწავლელი ცენტრის მიერ განხორციელებულ ამ მნიშვნელოვან სამეცნიერო ღონისძიებას. ვფიქრობ, ჟურნალ „საბა“ მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონულ გაზეთში გამოქვეყნებული იმ ინფორმაციის გაცნობა, რომელიც უშუალოდ ივ. გვარამაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის დღეს გამოქვეყნდა.

საეც. კორესპონდენტი

ბანსხადაბა

„ვატიკანის მეორე კრების 50-ე წლის იუბილე. უშუალო მონაწილის გამოცდილება“

2013 წლის 6 თებერვალს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი ატარებს სემინარს თემაზე: „ვატიკანის მეორე კრების 50-ე წლის იუბილე. უშუალო მონაწილის გამოცდილება“.

2012 წლის 11 ოქტომბერს კათოლიკე ეკლესიამ ვატიკანის მეორე კრების გახსნიდან 50-ე წლისთავი აღნიშნა. XX საუკუნის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან დაკავშირებით, საქართველოს ეწვევა და სა-

კუთარ გამოცდილებაზე ისაუბრებს კრების უშუალო მონაწილე, იტალიელი ეპისკოპოსი, მეუფე ლუიჯი ბეტაცი.

დასაწყისი 17:00 სთ.


მისამართი: ლადო გუდიაშვილის 7, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსი.

დასწრება თავისუფალია

მორწმუნეთა საყურადღებოდ!

2013 წელს დიდი მარხვა დაიწყება 13 თებერვალს, ნაცრისყრის ოთხშაბათს.

ბანუსჰენე მათ, უფალო!



ვანო მიხაილოვიჩი
* 07.05.1924 – უღე
† 02.11.2012 – უღე



ელისაზე ბაღლოვიჩი
* 10.05.1929 – უღე
† 22.11.2012 – უღე



აველი რილინბარაშვილი
* 25.12.1927 – არალი
† 17.12.2012 – არალი



თამარ რილინბარაშვილი
* 18.03.1936 – არალი
† 23.11.2012 – არალი



დავითჯან ნარიანაშვილი
* 15.10.1938 – უღე
† 25.11.2012 – უღე



სონა ობოლასვილი
* 05.06.1920 – უღე
† 10.01.2013 – უღე



ნინო არაპელიანი-მამოურიანი
* 04.02.1959 – შრომა
† 07.10.2012 – შრომა



მარიამ ხაჩალიანი
* 03.09.1927 – ბოგდანოვკა
† 2012 – ბოგდანოვკა

სარჩევი

ეულოცავთ!.....2
სნეულთა XXI მსოფლიო დღე3
რელაქციის გვერდი6
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში7
კათოლიკე ეკლესია საქართველოში9
2 თებერვალი – ბერმონაზონთა დღე14
საკრებულოს სატკივარი16
კათოლიკური პასუხი16
ლიტურგიული წელი წმ. ლუკასთან ერთად17
პოეზია19
გამოჩენილი მამულიშვილები20
ინფორმაცია21
საგანგებო ჩანართიI-II

რელაქცია:

მამა გაბრიელ ბრავანტინი ნუგზარ ბარდაველიძე ნატო ბიგუკვა ვერიკო ნოზაძე მერაბ ლაღანიძე ზაზა შათირიშვილი ციციხო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 298-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ
© „საბა“, 2013



ნინოს სიყვარული?
ო, რაოდენ დიდია!

